**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 122 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 122

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


სამშაბათს, 25 მაისს, გარდაიცვალა

**პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი,**

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ გარდაცვალებულის მეგობრები და პატივის მცემლები.

პანაშვიდი დღეს და ხვალ, საღამოს 7 საათზედ; დაკრძალვა პარასკევს.
(2—რ—1)

სამშაბათს, 25 მაისს, გარდაიცვალა

**პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი,**

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ გარდაცვალებულის მეგობრები

მიცვალებულს გაასვენებენ სადგომიდან (თეატრის მოსახვევი, № 6) პასასკევს, 28 მაისს, დილის 10 საათზე კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში და იქიდან წირვის შემდეგ დასაკრძალავად კათოლიკეთა კუკიის სასაფლაოზედ. პანაშვიდი დღეს და ხვალ, საღამოს 7 საათზე. (2—1).

---

გამოვიდა ð ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სასცენო-ურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

---

გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი

## ჯგუფი ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

ტარ. მომცელიძისა.

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцеидзе.
(წლ.).

---

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი"-ს

## საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონივრება და სხეულის გამაგრება

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**
15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ხაის ქ. № 46. (1.—15)

---

## ქართული თეატრი

შაბათს, 29 მაისს 1904 წ.

ორიონის

ვასო აბაშიძის სასარგებლოდ

ქართულ თეატრის არტისტები წარმოადგენენ:

I

**ცხოვრების გარეშე**

კომ. 4 მოქმ. თხზ. პროტოპოპოვის

II

ახალი პიესა

**დარისპანის გასაჭირი**

სცენები 1 მოქმ. თხზ. დ. კლდიაშვილისა.

**მოთამაშენი:** ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ნებიერიძე, ჯავახიშვილისა, დავითაშვილისა და რონელი; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, მოსკოველი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $8\frac{1}{2}$ საათზე.

---

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი** სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 12 ივნისისათვის 1904 წლ. დღისით 1 საათზედ თ-დ ქობულოვის სახლებში (არშაკუნიანისეული, გრიბოედოვის ქუჩაზედ) ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოგების გასანაწილებლად შედგენილ პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად. (3—6—2).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

**ქეჯანა**

2.

**ალი**

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცალ-ცალ-დებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

---

გამოვიდა და ისყიდება

**კატალოგი**

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16[?] გვ ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

**ქართული რუკა**

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, გარდა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ქ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი.** 11—12 საათამდე კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. გაგახაძე.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**ვ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7\frac{1}{2}—8$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** კლდის ბეღის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კახეთის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

## კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მოჩინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოხელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა, 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში სწარმოებს ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კოიკები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კოიკით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ძინ-ჯოუს ბრძოლა —პორტ-არტურის ძალა.—რუსის ჯარის გალაშქრება —მეომართა ჯარების რაოდენობა. — წვრილი ცნობები.—იაპონელების მარხულობა.

გაზეთ ტაიმსის კორესპონდენტი 13 მაისს ძინ-ჯოუს ნავთსადგურში შესულა თავის გემით და ბრძოლა თავის თვალით უნახავს:

შუადღისას ძინ-ჯოუს ყელი სწორედ კარგი სანახავი იყო,—ამბობს კორესპონდენტი. 40,000 იაპონელი დასავლეთით იყო დაბანაკებული ძი-ძა-პუნის მაღლობზე. წინ მეორე პატარა მაღლობი მცირედ იფარავდა იაპონიის ჯარს, რომელიც წინ მიიწევდა ყელისკენ. 2,000 იარდზე რომ მიუახლოვდა რუსების სიმაგრეს, საომრად უნდა გაშლილიყო იაპონიის ჯარი, მაგრამ ყელის სივიწროვე უშლიდა. მაინც ჯარი გაიშალა და რავდენიმე ბატალიონი ქვეითის ჯარისა კარგა ხანს წყალში გაჩერდა. რუსებმა საშინელი სროლა ასტეხეს ყველა ზარბაზნებიდგან. ყუმბარები სწორედ იმ ადგილას ეცემოდა, სადაც იაპონელები უფრო შეჯგუფულნი იყვნენ. იაპონელებიც ესროდნენ და თან ზარბაზნები წინ მიჰქონდათ. ძუ-ლი-ჯუანიდგანა და სან-გიჯუანიდანაც ახალი ბატარეები მიეშველა; ძინ-ჯოუს ყურედგანაც გემებმა ყუმბარები დაუშინეს რუსის სიმაგრეებს. მზე რომ გადიხარა, რუსები თითქო შედრკნენ. იაპონელების ორი ბატალიონი რუსის სიმაგრეს მიუახლოვდა სოფელ ძა-ძა-ტუნის მხრივ და სცდილობდა რუსის ჯარს დასცემოდა. იაპონელები სოფელს ამოეფარნენ და ცოტა ხანს შეისვენეს და შემდეგ რაზმი ისევ წინ წავიდა, მაგრამ ვერას გახდა, რადგან რუსები ჯერ კიდევ მაგრობდნენ. ტყვია-ყუმბარა ზვავივით დაატყდა იაპონელებს. ფერდობზე რომ ადიოდნენ იაპონელები, ისე დნებოდნენ, როგორც თოვლი ცეცხლისაგან. რამდენიმე კაცი-ღა გადარჩა სიკვდილს და მაინც თავისას არ იშლიდნენ, სულ წინ მიიწევდნენ და მავთულის ღობეს მიაღწიეს კიდეც; მაგრამ გმირულმა სიმამაცემ ამაოდ ჩაუარათ და 15 წამს ორი ბატალიონი სრულიად შეიმუსრა. მთელი სერი რუსების სიმაგრის წინ დახოცილებით იყო მოფენილი. რაკი ამ იერ შით ვერას გახდნენ იაპონელები, არტილერიამ და გემებმა ერთს ადგილს დაუშინეს ყუმბარები, სადაც გენერალ ოქუს იმედი ჰქონდა რუსის სიმაგრე გაერღვია. როდესაც არტილერიამ თავისი საქმე შეასრულა, სარდალმა უბრძანა ქვეითს ჯარს კვალად იერიში მიეტანა. ვისაც ესეთი სალდათი ჯარი ჰყავს და დანაკარგისა არ ერიდება, ის ყოველთვის თავისას გაიტანს. რუსებმა დაატყეს, რომ ველარ გაუძლებდნენ და უკან დაიწიეს (რუს. ვედ.).

—

ტოკიოდან „დეილი ტელეგრაფს" ატყობინებენ, აქა ჰგონიათ, ვითომც ძინ-ჯოუს ბრძოლის დროს რუსებს ჰყავდათ 20,000 მეომარი. ამას რომ 10,000 მეზღვაური და სინაპირო რაზმები დაემატოს, სულ შესდგება 30,000 კაცი. პორტ-არტურის აღება იერიშით, როდესაც ამდონი მცველი ჰყავს, მეტად ძნელი უნდა

იყოს. ზღვის მხარეს პორტ-არტურს 20 ფორტი აქვს, კარგად გამაგრებული, 15 ვერსის მანძილზედ. იაპონელებს მაინც იმედი აქვთ, რომ ციხეს აიღებენ და საგრძნობლად დაასუსტებენ რუსის ჯარს. შემდეგ გენერალ კუროპატკინმა რომ გაიმარჯვოს კიდეც მუკდენსა და გირინთან, მაინც პორტ-არტურის დანაკარგს ვეღარ აინაზღაურებსო («ნოვ. ვრ.).

—

რუსეთ-იაპონიის ჯართა ბრძოლის დროს მდინარე იალუზე, რუსის ჯარის წინ სამი მხედარი დაჰქროდა თურმე, სალდათის. შინელში გახვეული, და ხან ერთს, ხან მეორეს ატყობინებდა სარდლის განკარგულებას და თან ჰრილობის შესახვევები ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ ეს მხედრები ქალები ყოფილან, ჯარის კაცების მეუღლენი (რუს. ინ.).

—

«ნოვოე ვრემიას» შეუტყია ამ ქალების ვინაობა: ერთი ყოფილა მე-22 პოლკის უფროსის გრომოვის მეუღლე, მეორე-ბატარეის უფროსის შჩეგოლევის მეუღლე და მესამე-დივიზიის საავადმყოფოს ზედამხედველის მაკაროვის მეუღლე. პირველს პალტოს კალთაში მოხვედრია ტყვია.

—

ლონდონის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, 19 მაისიდგან, რომ გენერალ კუროპატკინმა თავისი ჯარი პორტ-არტურის დასახსნელად გაგზავნაო. იაპონელთა პირველ ლაშქრის გენერალი კუროკი მაინც ჩრდილოეთისკენ გზავნის ჯარს, რომელსაც ფინხუანჩენის ჩრდილოდ დასავლეთად რავდენიმე შეტაკება კიდეც მოსვლია რუსის ყაზახებთანაო. როგორც ეტყობა, იაპონიის ლაშქარი მუკდენზე მიდისო. გენერალ კუროკს შეუტყვია, რომ რუსის ჯარი პორტ-არტურისკენ დაიძრა, და დროს ურჩევს, რომ რუსეთის ჯარის შესუსტებულ ფრთას დაეცეს (ბირ. ვედ.).

—

გაზეთის «ტანის» ცნობებით, იაპონელთა სამს ლაშქარში, სულ ნაკლები, 200,000 მეომარი მაინც უნდა იყოს. რამდენი კაცი იქმნება მეოთხე ლაშქირში, რომელიც დაგუშანთან უნდა გადავიდეს, ჯერ არავინ იცის. რუსებს კი ბაიკალის ტბას იქით 200,000 მეომარი უნდა ჰყავდეთ, ხოლო ამ რიცხვიდან 28,000 კაცი რკინის გზასა სდარაჯობს და 40,000 კაციც გაფანტულია დაბა-ქალაქების დასაცველად. ერთი დივიზია ვლადივოსტოკსა და ჩრდილო-კორეაში არის. გენერალ მიშჩენკოსა და გენერალ რენენკამპფის ყაზახთა დივიზიები იაპონელთა პირველ ლაშქარს ელობება. მაშასადამე გენერალ კუროპატკინს თავის განკარგულებაში ამ ჟამად მხოლოდ 120,000 მეომარი ეყოლება (იქვე).

—

ბერლინის სამხედრო კაცები ჰფიქრობენ, რომ ეხლახან დაგუშანთან გადასულ ჯარს განსაკუთრებითი დანიშნულება არ ექმნება. ის მხოლოდ გააძლიერებს და დააკავშირებს გენერალ ოკუსა და გენერალ კუროკის ლაშქრებს. კუროკის ლაშქარში 140,000 მეომარი იქმნება და ოკუსაში—120,000. გენერალ კუროპატკინმა იცის ეს გარემოება და ის ადგილი, საცაც ეხლა მისი ჯარია დაბანაკებული, უხერხულად მიაჩნია («ნოვოსტი»).

**იაპონელების მარხულობა.**

—

ამას წინად «სტანდარდის» კორესპონდენტი იწერებოდა ტოკიოდგან, რუსი—ტყვეები ძალიან კარგად არიან და ისეთი მადა აქვთ, რომ იაპონელებს უკვირთო.

შესაძლოა, რომ იაპონელებს მართლა აოცებდეს რუსების მადა, რადგან თვითონ ძალიან ცოტასა სჭამენ. აი რას ამბობს ამის შესახებ ერთი ამერიკელი, რომელიც გიმნასტიკას ასწავლიდა იაპონიაში.

ფიზიკური აღზრდა იაპონელებს ისე კარგად აქვთ დაყენებული, რომ ავადმყოფობა ძალიან იშვიათია და ისიც მოხუცებულობის დროს. მართალია, იაპონელი პატარა ტანისაა, მაგრამ ძალიან ამტანია. ჩინეთის ომის დროს იაპონელები ერთიორად მეტს დადიოდნენ, ვიდრე კავკასიელთა მოდგმის ჯარის კაცები.

ფიზიკური ვარჯიშობა, ტანის სიფაქიზე, სადგომის სისუფთავე, სიფხიზლე და მოძრაობა უპირველესი საჭიროებაა იაპონელისა. მაგრამ ზომიერება სასმელსაჭმელში სწორედ სამაგალითოა.

ხორცს იაპონელი თითქმის სულაც არა სჭამს. რაკი საქონელი არა ჰყავს, არც წველა აქვს. ერბო ავსტრიიდგანა და ამერიკიდგან მიაქვთ ქესტის ქილოფებით. უმთავრესი საჭმელი იაპონელისა ბრინჯია, შემდეგ მწვანილეული, თევზი და ხილი. პური არ იციან. კიტრს მოხარშულსა სჭამენ, კომბოსტოს კი უმსა. ბოლოკს ხარშავენ და უმად დაკეპილ სტაფილოთი აზავებენ.

ერთხელ ვუყურე, გემს რომ ქვა ნახშირითა სტვირთავდნენ იაპონელებიო,— ამბობს ამერიკელი. გამწკრივებულნი იდგნენ კაცები, დედა-კაცები, ბიჭები და გოგოები და ერთმანეთს აწოდებდნენ ქვა-ნახშირით სავსე ყუთებს, რომელსაც 30—50 გირვანქის სიმძიმე იქმნებოდა. სწრაფად და მხიარულად მუშაობდნენ, სიცილი, ხუმრობა არ შეწყვეტილა, თითქო ერთობიანო. შუადღისას მუშაობა შესწყდა და სადილად ავიდნენ გემზე. ერთს სხვა იაპონელებზე მოზრდილს კაცსა ვკითხე:

— საჭმელი გააქვთ რამე?

— როგორ არა,—მიპასუხა მომუშავემ და ლურჯი ხელცახოცი გაშალა. იქ იყო ერთი ვაშლი, ერთი ოქროვაშლა (პამიდორი) და ერთი თავი ხახვი.

— მაგის მეტი არა გაქვს რა?

— მეტი რად მინდა, როდესაც 5 საათი კიდევ უნდა ვიმუშაო.

— დილას რა საუზმე გქონდა?

— ერთი ფინჯანი ფლავი და თევზის ნაჭერი.

— ვახშმად რა გექმნება?

— არ ვიცი. ეგ ცოლის საქმეა. მგონი თევზს, სალათა, ოქროვაშლსა და კიტრს დაამზადებს, მაგრამ, ვიდრე შინ მივიდოდე, უნდა ვიბანო, თორემ ესე გამურული ვერავის დავენახვები.

შეძლებულ ოჯახებშიაც ესე ცოტასა სჭამენ თურმე. იქაც ხორცსა და წველას ვერა ნახავ.

«თუ რომ თეთრ-კანა მჭამელებსა ჰგონიათ, რომ ესეთი დიეტა ადამიანს შეასუსტებს, სცადონ სამი ოთხი თვე და დარწმუნდებიან, რომ ღონე შეემატება», — ამბობს ამერიკელი. იაპონიაში რომ მუცლის ტკივილის წამლების ვაჭრობა დაიწყოს ვინმემ, ძალიან მალე გაკოტრდებაო.

(ნოვოსტი).

# ტფილისი

—

*** გუშინ-წინ, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრე თეოდორეს ასულის დაბადების დღეს, საქართველოს ექსარხოსი, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ალექსი მწირველი იყო ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში. წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. დღესასწაულს დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალი ოტიფანტერიისა ა. ა. ფრეზე, მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი გენერალ-მაიორი ვ. ღ. ტოლმაჩოვი, ტფილისის გუბერნატორი პოლკოვნიკი ი. ე. სვეჩინი, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და აურაცხელი ხალხი. ამავ დღეს პარაკლისები გადახდილ იქნა ქალაქის სხვა და სხვა ეკლესიებში. მთელს დღეს ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული, საღამოთი კი გაჩირაღდნებული.

*** 24 მაისს დაბრუნდა ტფილისში კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, რომელიც რამდენსამე დღის წინად ჩრდილო-კავკასიაში გაემგზავრა.

*** სხვა და სხვა უწყებანი წინადადებას აძლევენ ქალაქის გამგეობას, ადგილი მოგვყიდე ტფილისშიო. ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, არ გაჰყიდოს ადგილები; მხოლოდ თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, მაშინ ერთი ადგილი მეორე ადგილში გაუცვალოს.

*** მოკლე ხანში ტფილისის ქალაქის საფინანსო კომისია განიხილავს ცეცხლის მქრობელ რაზმის აგენტთა დაზღვევის საქმეს. ეს საკითხი ტფილისის პოლიცმეისტერმა აღძრა პირველად და ქალაქის გამგეობამაც სასურველად დაინახა, დაზღვეულ იქმნენ ცეცხლის მქრობელ რაზმის კაცნი, რადგანაც ერთობ ხელ-მოკლენი არიან და ყოველ დღე განსაცდელი მოელისთ ცეცხლის ჩაქრობის დროს.

*** ბორჩალოს მაზრისაკენ პირველს გაზაფხულს მოსავალს კარგი პირი ჰქონია, ამ ჟამად, როგორც გვწერენ, გამუდმებით წვიმს და ნათესების წესიერად ზრდას ერთობ ხელს უშლის.

*** მოკლე ხანში ტფილისში მოწვეული იქმნება საზოგადო კრება ამიერ-კავკასიის სახალხო სკოლათა დირექტორებისა.

*** ივნისის შუა რიცხვებში კრება ექმნება ტფილისის სიღარიბის საზოგადოებას. 25 მაისისათვის დანიშნული კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

*** 30 მაისს სომხურ დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრება იქმნება.

*** წელს უმაღლესმა მთავრობამ 401,431 მანეთი გადასდო ამიერ-კავკასიის სამკურნალო უწყების დაწესებულებათა შესანახად.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით შეკრებილ ცნობათაგან სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში არ არის კალიის თესლიანი ადგილები.

*** სომხურის ჟურნალების რედაქტორი და რუსულის გაზეთების თანამშრომელი სიმონ ახუმიანი, რომელიც ბევრს ნიჭიერს წერილებს ათავსებდა ტფილისის რუსულსა და სომხურს გაზეთებში, ამ ჟამად პარიჟის სულით-ავადმყოფთა თავშესაფარში იმყოფება. მისი მდგომარეობა თავშესაფარში, «ტფ. ლისტ.»-ის სიტყვით, მეტად აუტანელია და უარესი, ვიდრე ამ თავშესაფარში მყოფ სხვა სულით-ავადმყოფებისა. ეს მაგალითი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ ყველასათვის ცნობილს ამბავს, თუ როგორი ბოლო მოელის ყველა ჩვენს ნიჭიერს მწერალს და პატიოსანს მოღვაწეს.., სიმონ ახუმიანი თურმე უკანასკნელს ტანისამოსსაც მოკლებულია და გვიკვირს, რატომ არ ჰზრუნავენ იისის ნივთიერის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მისის ნიჭის პატივისმცემელნი.

*** დღეს, 27 მაისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება იქმნება.

*** შაბათს, 29 მაისს, საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაკავარიანი ბორჩალოს მაზრაში მიემგზავრება იქაურ სასოფლო ესენოების დასათვალიერებლად.

*** 30 მაისს კრება ექმნებათ ამქართა მამასახლისებს და ხელოსანთა დეპუტატებს რამდენისამე საყურადღებო საგნის განსახილველად.

*** ქალაქის საბჭომ 1000 მანეთი გადასდო საარჩევნო წიგნების შესადგენად.

*** 28 მაისისათვის დანიშნულია კრება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი.

*** უმაღლესმა მთავრობამ არ დააკმაყოფილა ბერძენთა თხოვნა, რომელთაც ტფილისში «ბერძენთა საქველ მოქმედო საზოგადოების» დაარსება სურდათ.

† პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი.

(ნეკროლოგი).

გუშინ წინ, 25 მაისს გარდაიცვალა ჩვენი ცნობილი მწერალი და მოღვაწე პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი.

ეს მესამე მსხვერპლია ულმობელის სიკვდილისა წელს! ლ. აღნიაშვილისა და ი. ბაქრაძის სიკვდილს თან მოჰყვა სიკვდილი პ. უმიკაშვილისაცა.

დიდის, წელში გამაგრებულ ერისათვისაც მძიმე დასაკლისია სამი მუშაკი, სამი დაუღალავი მოღვაწე და მოამაგე სულ რაღაც სამ-ოთხ თვეში და ჩვენისთანა რიცხვ-მცირე ერისათვის ხომ უფრო საგრძნობელი და სამძიმო დასაკლისი უნდა იყოს.

ჩვენი ყოფა, ჩვენი ვითარება ისეთია, რომ ძნელი უნდა იყოს ჩვენთვის, არა თუ მოღვაწის და მოამაგის დაკარგვა, არამედ მისი დროებით მოშორება, დროებით შეჩერება, რადგან გუნდი იმათი, ვინც იბრძვის საზოგადო ასპარეზზედ ქვეყნის სასიკეთოდ, სწავლისა და ცოდნის გავრცელებისათვის, ვინც სთესავს კეთილს თესლს მამულის სიყვარულისას და უკეთესის მერმისისას, ფრიად მცირეა, ერთი მუჭაა. ძნელი უნდა იყოს, იმიტომ რომ «სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი ყოვლად არა».

და აი დღეს კიდევ დავკარგეთ ერთი ასეთი მუშაკი, ერთი ასეთი მომკალი ჩვენის საერთოდ მოუწინახულებულის ყანისა!

განსვენებული, მართალია, ხანში შესული იყო, მაგრამ ხალისი ოდნავაც არ მოჰკლებია შრომისა, ჯაფისა, საზოგადო საქმიანობისა და ამ ბოლოს დროსაც ისევ ისევე მხნედ, იმედიანად და თავგამოდებით ემსახურებოდა მწერლობას, საზოგადო ცხოვრების წინ წაწევასა და განვითარებას, როგორც წინად.

არასოდეს უიმედობას არ შეუპყრია არსება პეტრესი, არასოდეს სასოება არ წარკვეთია და მუდამ ღრმად სწამდა, რომ ნელ-ნელა, დღეს თუ ხვალ, მუშაკთა გუნდი გამრავლდებოდა და მათის მხნეობით, მათის გამრჯელობით შუქი სინათლისა მეტის ძლიერებით შემოაშუქებდა ჩვენს ქვეყანაშიაც; საიმედო და სენეტარო დრო წარმატებისა დადგებოდა საქართველოსთვისაც.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აწ განსვენებულ პეტრეს მოღვაწეობა ისე მრავალ-ფეროვანი იყო, მრავალ-კერძოიანი, მრავალ-შტოიანი. ერთგვარის ხალისით და მუყაითობით თანამშრომლობდა ყველა ჩვენს ჟურნალ-გაზეთში, სწერდა წერილებს, სცენებს, პიესებს, აგროვებდა სახალხო ნაწარმოებს, ჰბეჭდავდა ძველთა და ახალ მწერალთა თხზულებათა წინასიტყვაობითა და ბიოგრაფიებით, გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა ზრდა-განვითარებას, ქათველთა მოზარდ თაობას სვე-ბედსა.

ამავე დროს განსვენებული ქართულის ენის მასწავლებლად იყო პირველ გიმნაზიაში და თითქმის 16 წელიწადი ილვწოდა საპედაგოგიო ასპარეზზედ. ამ ხანში, ვინ იცის, რამდენს ყმაწვილს შთაუნერგა სიყვარული აბუჩად აგდებულის, პატივ-აყრილ დედა-ენისა, ხალისი სამშობლოს ლიტერატურის შესწავლისა, მის საკეთილოდ მოღვაწეობისა! ბევრმა მათგანმა გამოიჩინა თავი თუ ნიჭით, თუ მხნეობითა და მოღვაწეობით და გულს ღრმად ჩაინერგა თავის მასწავლებლის სიყვარული და პატივისცემა.

ახლა დრო არ არის, სავსებით დაფასდეს ღვაწლი განსვენებულის პეტრესი. ვიტყვით მხოლოდ, რომ პეტრე გულწრფელი, უპრეტენციოზო მოყვარული იყო ჩვენის საზოგადო საქმისა და ჩვენის მწერლობისა და მათ შესწირა თვისი ნიჭი და ძალ-ღონე. ხსენება მისი საუკუნოდ დარჩება ჩვენის ლიტერატურისა და საზოგადო ცხოვრების ისტორიაში.

გრ. ყიფშიძე.

# ჩვენებური ამბები

—

ჩვენ გვწერენ, რომ ქვედა-მაღლაკში ბლომად შეიკრიბა ფული ეკკლესიის აშენებისათვის; აგრეთვე სკოლის შენობის აგებისათვის. ეკკლესიაც გაკეთდა და სკოლაც, მაგრამ ანგარიში კი ჯერ არსად არის, ხალხმა არ იცის, რაში რა დაიხარჯა. სასურველი კია, რომ ყველამ, ვინც ფული გაიღო ამ კეთილის საქმისათვის, იცოდეს, რაში რა დაიხარჯა და რა დარჩა ძირს ნაღდად.

—

**ქ. ბათუმი.** ქალაქის საპატიმროდგან 17 მაისს, დილის 7 საათზე გაიქცნენ ნიკიტა ხვარაფონოვი და მცხოვრები ქ. შირარდში (სერადზე) კალ' გუბ. შიო ლევაისე გაიპარნენ, რომ არავის შეუმჩნევია. პირველს ბრალდებოდა რაზმაძის მოკვლა და ეს საქმე ირჩეოდა ბათუმში 15 მაისს. ხოლო მეორეს ერთი წელიწადი გამასწორებელ პატიმართა რაზმში გაგზავნა ჰქონდა გადაწყვეტილი და ღირსებაც ახდილი სხვა-და-სხვა ნივთების მოპარვისათვის.

—

**ქ. ქუთაისი.** თუმცა გადაწყვეტილი იყო, კვირა უქმე დღეებში დაკეტილი უნდა ყოფილიყო მთელის დღით დუქნები, საპარიკმახეროები და სადალაქოები, მაინც ღიაა. საქმე ის არის, რომ დალაქებს უთხოვიათ, ნება დაგვრთეთ კვირაუქმე დღეს მუშაობისა, რადგან ვაჭრობამუშაობა მხოლოდ კვირა-უქმე დღეებში გვაქვსო. მაშინ ჩამოდიან სოფლელები და შემოსავალიც იმათგანა გვაქვსო.

მათი თხოვნა შეწყნარებულ იქმნა. ეს რომ გაიგეს პარიკმახერებმა, იმათაც გააღეს თავისი სახელოსნოები და განაგრძობენ მუშაობას. გვიკვირს, რა საფუძვლით მესცეს დალაქებს კვირა დღე მუშაობის ნება! ნუ თუ მართლა აუცილებელ საჭიროებად სცნობენ. სააყასპოებისა და სხვა სანოვაგეთა დუქნებივით, უქმე დღეს ღია იყოს სადალაქოებიც? პარიკმახერებს მაინც ხომ არა აქვთ ამის ნება, რომ ღია აქვთ სახელოსნოები კვირა უქმე დღეს! საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდნენ, აუკრძალავდნენ უქმე დღეს მუშაობას და მით ერთხელ და უკანასკნელად გადასწყდებოდეს შეგირდთა შესვენების საქმე.

ქალაქის ის ქუჩები, რომელიც არ არის ქვით მოკირწყლული, გადაწყვეტილია რიყის ქვით მოიკირწყლოს. ზოგიერთ ქუჩების, როგორც, მაგალითად: ლევაშოვის, პუშკინის და სხვათა მოკირწყვლა დაწყებულია, თუმცა გაკეთების შემდეგ ქუჩებზე ეტლების რახა-რუხი კაცს სულსა და გულს შეუწუხებს, მაგრამ ტალახში ჩახრჩობას ყველაფერი სჯობია.

20 მაისს, დილის ოთხ საათზე, აქაურ სატუსაღოში შესრულდა განაჩენი პატიმარ სერაპიონ კვარაცხელიას შესახებ, რომელსაც სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ლატარიასა და მეორე კვარაცხელიასთან ერთად თავად ილიკო დადიანისა და მის მხლებლების მოკვლისა და გაძარცვისათვის. ამ ორ უკანასკნელ დამნაშავეს სიკვდილით დასჯა საუკუნოდ მაღნებში მუშაობათ შეეცვალა.

ჯერ სიცხეები არ გვირგვინია. გამუდმებული წვიმებია.

ჩვენი მსახიობი ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი მძიმედ იყო ავად, მაგრამ ახლა უკეთ არის, როგორც ამბობენ.

გურულ-მეგრელი.

# რუსეთი

—

უცნაური ამბავი დაემართა გაზ. «ს.-პ. ვედ»-ს ერთმა მისმა თანამშრომელმა დაბეჭდა წერილი, რომ მოსკოვში ძრიელ იყიდება იაპონიის უკანასკნელ სესხის ქაღალდებიო. მაშასადამე მოსკოვმა უღალატა რუსეთს, მოსკოვმა გაგვყიდაო. შექნა ერთი ორონტრიალი, გამოძიება, ჩურჩული, ბოლოს სასაცილო რამ აღმოჩნდა: თურმე მოსკოვში იყიდება არა იაპონიის სესხის ბილეთები, არამედ რუსეთის სესხისა, რომელიც იაპონიის ომის გამო იქმნა ამას წინად გამოცემული.

—

— რასაკვირველია, ძნელია დანამდვილებით გამოარკვიოს კაცმა, რა ეხარჯება რუსეთს ამ ჟამად ომის საჭიროებისათვის. დაახლოვებით-კი გაზ. «ნოვ.-ს» თანამშრომელი არ ანგარიშობს. სამს თვეში დაიხარჯა ომის საჭიროებისათვის 185 მილიონამდე ანუ დღეში თითქმის 2 მილიონამდე ხარჯი აქვს სახელმწიფოსაო. სულ წელიწადში დაჯდება 700 მილიონამდე, თუ საქმემ ასევე იარა, ხოლო თუ მეტი ჯარის გაგზავნა დაგვჭირდა, მაშინ შესაძლოა 800 მილიონი მოგვინდეს ან იქნება მილიარდიცა წელიწადშიო.

# თეატრი და ხელოვნება

—

**ქართული თეატრი.** ვინც ხშირად დაიარება ქართულ წარმოდგენებზედ, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ის ახალი სახე, რომელიც თეატრში მოსიარულე საზოგადოებამ მიიღო.

მათთან ერთად, ვისთვისაც თეატრი უბრალო დროს გასატარებელ ადგილად გამხდარა, თქვენს ყურადღებას იპყრობს სულ სხვა ჯგუფი მაყურებელთა; თქვენ აქ მაყურებლის სახეზედ ნათლად კითხულობთ ცოდნის მოყვარეობას, სურვილს ახალის რამის შეძენისას, ჰხედავთ, მაყურებელი თეატრში მოსულა იმიტომ, რომ თეატრში გაიგონოს ახალი სიტყვა, დროებით მაინც დაივიწყოს დღიურ ცხოვრების წვრილმანები და ერთფეროვანი გაჭირვება—დალხინება, და უფრო მაღალის, უკეთესის მისწრაფებით გამსჭვალულმა, მეტის მხნეობით შესძლოს გაუმკლავდეს სხვა-და-სხვა სახის კომპრომისებს, რომლითაც სავსეა დღევანდელი ცხოვრება.

ამისთანა მაყურებელი შედის თეატრში თვითონ, მიჰყავს ცოლი, შვილი, ძუძუმწოვარა ბავშვებიც-კი, მიდის მიუხედავათ იმისა, თამაშობს თუ არა ეს თუ ის ჩვენებურ, შინაურ ნიადაგზედ აღზრდილი „გენიოსი“, ესწრება ყოველნაირ პიესას, იმის და მიუხედავათ, ვარგა იგი თუ არა.

ეგეთი ძრიელი და შეუჩერებელია ერთხელვე გაღვიძებული წყურვილი ცოდნისა და თვით ცნობიერებისა. მაგრამ ჰპოულობს

კი იგი ქართულ თეატრში. პასუხს იმ კითხვებისას, რომელიც დაჰბადებია და რომლის გადაწყვეტაც მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს? ან თუ პოულობს, შესაფერი და ჭეშმარიტია იგი, თუ შეუფერებელი და მავნე?.

ერთის სიტყვით, ასრულებს თუ არა ქართული თეატრი, რომლისათვის დღევანდელ ჩვენ ცხოვრების განვითარებას მეტად რთული მოვალეობა დაუკისრებია, ასრულებს თუ არა თავისს დანიშნულებას და თუ ვერ ასრულებს, როგორ უნდა ეშველოს საქმეს?..

ყველა ამ კითხვას საზოგადოებამ დაუყოვნებლივ უნდა გაუწიოს ანგარიში. მარტო სანტიმენტალური აღიარება ჩვენის ცოდვებისა არა კმარა.

კვირას, 24 მაისს, ქართულ თეატრში წარმოადგინეს „და-ძმა", გუნიას პიესა.. ამ საღამოს პირველად სცადა თავისი ნიჭი დრამატიულ როლში (მარინე) ყმაწვილმა მსახიობმა ქალმა ნ. დავითაშვილმა. ცდამ უნაყოფოდ არ ჩაუარა მსახიობს ქალს. ზოგ-ზოგი ადგილი მან ცოცხლად სინამდვილით ჩაატარა; მაყურებელის თანაგრძნობასა და ყურადღებას იწვევს ყმაწვილი მსახიობის თამაშობაში გულწრფელი გადმოცემა გრძნობისა, რომელიც მსახიობს ქალს ძრიელ ეხერხება და რომელიც თავდებია იმისი, რომ იგი თავის დროზედ კარგი არტისტი დადგება. საჭიროა კიდევ და კიდევ სწავლა, სწავლა და სწავლა.

დანარჩენებიც: ს. სვიმონიძე, ივანიძე (ადამია), ბ. ბეგლარიძე, როგორც ყოველთვის, კარგები იყვნენ.

შალიკაშვილს (ოტია ჯოლია) პირველ ოთხს მოქმედებაში არა უჭირდარა, სამაგიეროდ მეხუთე მოქმედება ძრიელ სუსტად ჩაატარა. ძრიელ სუსტობდენ მეორე ხარისხის როლების ამსრულებელნი. მესამე მოქმედებაში მწყობრად იმღერა კავსაძის ხორომ.

ქ. ყ—ნი.

## შემოწირულებანი

ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების ბაზრობის სასარგებლოდ.

—

ფორაქოვისაგან 9 არშინი კრეტონი, პარუსინის ხალათი, ერთი თბილი შალი, ერთი მაუდის იუბკა, ათი არშინი ტილო. ფარულავასაგან ორი სხვა-და-სხვა ნივთი. ლორთქიფანიძისაგან ერთი სალიკიორე. სოფიო იოსების ასულმა მუხარინსკიმა ორი ყელსახვევი. ს. კ. კვაჭაძემ პალტო' კახეთის ამხანაგობამ ორმოცდა ათი ბოთლი ღვინო. ნატალია სვიმონის ასულმა ჩიკუნაძემ თექვსმეტი ნაჭერი სხვა-და სხვა ნივთი ვ. გედილიამ ოცდა ათი სხვა-და-სხვა წიგნი.

## წერილი

### რედაქციის მიმართ.

**ხმა შორიდან.**

—

მივიღე რა სრულიად გარკვეული ადრესი ბ-ნ ზაადე დადიანისა, ვიჩქარი, რაც შეიძლება, მალე მოგაწვდინოთ. ჩემ წინა წერილში დამავიწყდა მეთქვა, რომ მშვენიერი იქმნებოდა წიგნებთან ერთად რამდენისამე ჩვენის მეფისა და მოღვაწის სურათიც გაეგზავნებოდეს. წინ და წინ ვუძღვნი ჩემს ულრმეს მადლობას იმ ქართველს ანუ ქართულს დაწესებულებას, რომელიც დახმარებას აღმოუჩენს გარდახვეწილ მოძმე ქართველს. ბ-ნ დადიანის ადრესი: ტრაპიზონის ოლქი, ქალაქ ფაცა კაზისი, ბ-ნ ზაადე ხულუსს დადიანს.

ჯაჯუ ყორჯიკია.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიე"-ში.

პატივცემული განდეგილი „ცნობის ფურცლის" 2491 №-ში მიკიჟინებს, ვითომც მე თავხედათ და არა სასურველად მოვექეცი, როდესაც მან მორიელ ნაკბენი სტამბის მსახური მოიყვანა ვანქის აფთიაქში.

ნება მიბოძეთ, მეც ჩემი სიმართლე ვაღვიარო, რათა ყოველივე თვალნათლივ გამოირკვეს.

9 მაისს, ღამის პირველ საათზე ვანქის აფთიაქში მორიელ ნაკბენი სტამბის მსახური მოიჭრა და წამალი მომთხოვა. სწორედ ამ დროს არა მქონდა რაიმე სახელმძღვანელო წიგნი, ურომლისოდაც ძნელია საშუალების აღმოჩენა მოწამლულისათვის, ძნელია, არა თუ ისეთ პროვიზორის თანაშემწესათვის როგორც მე და ბ. ჩიჩუა გახლავართ, (ქ. განდეგილმა ბ. ჩიჩუა პროვიზორის თანაშემწედ გაგვაცნო თავის წერილში), არამედ თვით სპეციალისტისთვისაც. ამიტომ ავადმყოფი სიჩქაროდ ახლო მყოფ ექიმთან გავისტუმრე. ნახევარ საათის შემდეგ მოვიდნენ ის ავადმყოფი, ქ. განდეგილი და ბ. ჩიჩუა. მოითხოვეს წამალი, საკვირველია თუ კი შემძლებოდა რაიმე საშუალებით მისი განკურნა, უარს რათ ვეტყოდი. ის ავადმყოფი ყმაწვილი არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა ჩემთან და არასოდეს «მკვახედ» არ გამისტუმრებია, რა წამალსაც მოითხოვდა, ვაძლევდი. ქ. განდეგილის თანამგზავრმა რამდენჯერმე მომთხოვა სფარმაცევტო ან საექიმო კალენდარი და ან ფარმაკოპეია «მე თითონ მოვნახავ წამალსაო». პირველი ორი წიგნი ვერ მივეცი, რადგან იმ ხანად არ მომეპოვებოდა აფთიაქში, რაშიაც პირადად მე დანაშაული არ მიმიძღვის; რომ მქონოდა, ხომ ექიმთან აღარ გავგზავნიდი, მე თითონ მოვნახავდი. რაც შეეხება ფარმაკოპეიას, რომელიც ყველა აფთიაქში აუცილებლად არის, თუ ქ. განდეგილს არა მის თანამგზავრს კი, მე მგონია, ეცოდინება, რომ ამ წიგნში, პირველ დახმარებისათვის არავითარი წამალი არ არის აღნიშნული. ქ. განდეგილის თანამგზავრის კითხვებზე: „ეკზამენზე იყავი?.. თუ იყავი რა გკითხეს, და თუ გკითხეს რატომ, არ გახსოვსო", რომელნიც სრულიად საქმეს არ შეეხებოდენ, მე ვუპასუხე: ეგ კაცი მოწამლულია, ჩვენის ლაპარაკით არა ეშველება რა, სჯობს ექიმს მიმართოთ-მეთქი. ამ დროს ბ. ჩიჩუა მიუბრუნდა ავადმყოფს და უთხრა: „წადი ჩვენს ექიმთან და უთხრი, აფთიაქიდან გამომგზავნეს-თქო". აბა შეეკითხოს ბ. ჩიჩუა ავადმყოფ ყმაწვილს, მე ის აფთიაქიდან „გავაგდე" თუ სიცრუეა? წასვლის დროს ქ. განდეგილმა გვარი მკითხა. მე ვუპასუხე, „ჩემ გვარი რათა გნებავთ-მეთქი" და გავიდნენ აფთიაქიდან.

ყველა ეს ჩემის მხრივ იყო ნათქვამი ჩვეულებრივს კილოზე და არა «საშინელის გაცხარებით», „მკვახედ" და „უკმეხად".

დასასრულ, ჩემის აზრით, არა თუ მარტო ისეთ მოქმედებას, რომელსაც ქ. განდეგილი მე მაწერს, არამედ ყოველგვარ მოქმედებას აქვს თავისი სახელი.

ივ. ბაქრაძე.

### „ივერიის" ფოსტა

**ბაქო. ნ. ა. ხ—ს.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**სტეფანე სტურუას.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 მაისი.

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობის სახელზე 22 მაისს გამოგზავნილი: „თანახმად ჩემ მიერ მიღებულ ცნობებისა, 17 მაისს, ვაფანგოუსთან ბრძოლა ასე მოხდა: ჩვენი ჯარი, რომელიც შესდგებოდა დრაგუნთა რაზმისა, ყაზახთა, თავისუფალ მეომართა კამანდისა და ერთ ბატარეისაგან, ვანძიალინიდან მიდიოდა და 17 მაისს, შუადღისას, ვაფანგოუდან ხუთის ვერსის მანძილზე იყო. ამ დროს ჯარს ცნობა მოუვიდა, რომ დარაჯთა ორ სოტნას ბრძოლა აქვს მტრის რაზმებთან, რომელნიც სოფელ იუძიატუნის მახლობლად სდგანანო. მაშინვე ცხენოსანთა რაზმი ვაფანგოუსკენ გაექანა, ხოლო დარაჯთა მისაშველებლად გაიგზავნა დრაგუნთა ორი ესკადრონი. ჩვენის ჯარის მარჯვენა ფრთას დასაცველად და ადგილების დასაზვერავად გაიგზავნა თავისუფალ მეომართა კამანდა და ყაზახთა ერთი სოტნა მდინარე ფუჯოუს ხეობაში. ამ რაზმმა, ადგილების დაზვერის შემდეგ, გააძლიერა ჩვენის ჯარის მარჯვენა ფრთა. ნაშუადღევის 1-ლ საათზე იაპონელთა რაზმები დაიძრნენ იუძიატუნიდან ჩვენს მოწინავე რაზმებზე იერიშის მოსატანად. მაშინვე ციმბირის ყაზახთა ორი სოტნა გადავიდა რკინის გზის ლიანდაგს და იერიში მიიტანა იაპონელთა მოწინავე ესკადრონზე. ხელჩართულ ბრძოლაში ყაზახებმა თითქმის მთელი ესკადრონი გასწყვიტეს. ამ დროს ამ ყაზახთ წინ გადაელობა იაპონელთა ქვეითა ჯარის როტა, ცხენოსანთა ორი ესკადრონი და ტყვია მტყორცნელთა რაზმი; ყაზახებმა მარცხნივ მიიწიეს; მათ უკან დაედევნა იაპონელთა მეორე ესკადრონი და წააწყდა ჩასაფრებულ თავისუფალ მეომართა რაზმს; ამ რაზმმა მოასწრო და რვაჯელ დასცალა თოფები და იაპონელთა ესკადრონმა, რომელმაც ძალიან იზარალა, უკან დაიწია. მესამე ესკადრონი იაპონელებისა აგრეთვე წააწყდა ჩასაფრებულ დარაჯთა სოტნას და იმანაც უკანვე დაიწია. ამავე დროს ჩვენის ჯარის მარცხენა ფრთაზე დრაგუნები იბრძოდნენ; ადგილის მდებარეობა ნებას არ აძლევდა იმათ ცხენებზე ყოფილიყვნენ და ისე ებრძოლათ, ამიტომ დაიქვეითეს და იუძიაგუნის ჩრდილოეთ სიმაღლეებზე სროლა აუტეხეს მტერს. როცა შეამჩნიეს, რომ მტერი მარცხენა მხრიდან გვერდს უვლის, უკან დაიწიეს. მეორე საათის ნახევარზე პოზიციაზე გამაგრდა ჩვენი ბატარეია და მარჯვედ დაუშინა ზარბაზნები მტრის ქვეითა რაზმსა და ტყვის-მტყორცნელებს. ამ დროს აღმოჩნდა, რომ იაპონელები იუძიატონისკენ დაიძრნენ. ნაშუადღევის ორ საათზე იაპონელთა ქვეითა ჯარის რაზმებმა დაიჭირეს სიმაღლეები, რომელიც რამდენიმე საათის წინ ჩვენს დრაგუნებს ეჭირათ. ჩვენი ზარალი: მძიმედ დაგვიჭრეს პორუჩიკი ფონ-მეიერი, მსუბუქად დაგვიჭრეს პორუჩიკი ბრანოი; სალდათი მოგვიკლეს სამი, მძიმედ დაგვიჭრეს—ცხრა და მსუბუქად—23. იაპონელთ უფრო მეტი ზარალი პოუვიდათ ერთ მოკლულ იაპონელ უნტერ-ოფიცერს ჩვენმა ყაზახებმა ბარათი უპოვეს, რომლიდანაც აღმოჩნდა, რომ მარტო დრაგუნთა მე-14 პოლკს 70 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს".

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მის უდიდებულესობას, 23 მაისს: „21 მაისს ჩვენ ყაზახთა ნაწილებს სროლა აუტეხა იაპონელთა ქვეითა ჯარმა, რომელსაც ეჭირა გამაგრებული პოზიცია სიმაღლეებზე სოფელ ხოძიაპუძოსთან. სროლა რომ დაიწყეს, იაპონელები წინ წავიდნენ მდინარე კოულენძიხოს ხეობით, მაგრამ ისინი შეაჩერა იმ ზარბაზნის მძლავრმა სროლამ, რომლის დადგმა პოზიციაზე მოასწრეს ყაზახებმა: ყაზახები ჩამოხდნენ ცხენებიდან. მოსული მაშველ რაზმისა და ორის ზარბაზნის შემწეობით ყაზახებმა აიძულეს იაპონელებს დაეტოვებინათ პოზიცია და დაწეულიყვნენ. ამ დროს მათ იფარავდა ერთად თავმოყრილი რაზმი. სროლამ გასტანა ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 6 საათამდის. იაპონელთა მხრივ სროლაში მონაწილეობა მიიღო 6 როტამ; ამ რიცხვიდან 4 როტა მოგვიანებით მოვიდა იაპონელთა საშველად. იაპონელთა თხრილები ძრიელ კარგად იყო გამართული და დაფარული. ჩვენი ცხენშებმული ზარბაზნები მშვენივრად ისროდნენ. უფრო ამ ზარბაზნების შემწეობით გავიმარჯვეთ. ჩვენი ზარალი: მოკლულია ვოისკოვოი სტარშინა მამაცი სტარკოვი და მსუბუქად დაიჭრა ორი აფიცერი; დაჭრილია 11 ყაზახი და გაკაწრული—2. იაპონელთა ზარალი გამორკვეული არაა, ჩვენზე დიდი კი უნდა იყოს."

გენერალ ჟილინსკის დეპეშა სამხედრო მინისტრს, 21 მაისს: „გენერალ სტესსელისაგან მიღებულ დაწერილ მოხსენებით, რომელიც შეიცავს დამატებით ცნობებს მისგან მიღებულ დეპეშებისას 8 მაისამდის, საქმის ვითარება შემდეგი ყოფილა: იაპონელთა არმიამ იერიში მიიტანა ქალაქ ცინჯოუზე, რომელიც ერთ როტას ეჭირა. იაპონელებმა უკვე დაიჭირეს ნახევარი კუნძული კერრი და ჰგზავნიდნენ დიდ ნავებს ხუნუეზის ბუხტაში; მაგრამ ეს ნავები იძულებულნი იყვნენ მოშორებოდნენ იმ ადგილს, რადგან ჩვენი არტილერია ყუმბარებს უშენდა. ჩვენს ჯარს ეჭირა პოზიცია ხუნუეზის ყურეს სანაპიროს სამხრეთით: ტალიენვანი, სადგური ნანგუანლინი, დალნი და ყველა ბუხტა. იაპონელთა ესკადრამ შეკრა მთელი სანაპირო და ზარბაზნებს უშენდა ხან ერთსა და ხან მეორე ბუხტის ნაპირს; ყუმბარებს არა ზოგავდა. 7 მაისს, ღამე, მტერი ცოტა ხანს ესროდა ყუმბარებს პორტ-არტურს. მოგვიკლა ერთი სალდათი და ორი ცხენი და დაგვიჭრა 4 სალდათი. 1 მაისს იაპონელებმა მოიწადინეს ჯარის გადმოსხმა კერრის ბუხტაში, მაგრამ ჯარი უკუქცეულ იქმნა. იაპონელთა ერთი კრეისერი ჩაიძირა. 2 მაისს მტრის კალონები გაემართნენ იარის გზით სანშილიპუსა და გოძიალინიდან სამხრეთისკენ. იაპონელები ბლომად თავ-მოყრილნი მიდიოდნენ და ამიტომ ძლიერ დაზარალდნენ ჩვენ ის არტილლერიის ყუმბარებისაგან. მტრის კალონას, რომელიც გოძიალინიდან მიდიოდა, ჩვენმა ქვეითა ჯარმა სროლა აუტეხა და დიდი ზარალი მიაყენა. როცა მტერი გაიშალა, აღმოჩნდა, რომ 24 ბატალიონის და 6 ბატარეისაგან ყოფილიყო შემდგარი. რადგან მტერი რიცხვით ჩვენზე ბევრად მეტი იყო, ჩვენმა რაზმმა უკან დაიხია. იაპონელებმა წინსვლა შეაჩერეს. გენერალი სტესსელი დიდის ქებით იხსენიებს ვაჟკაცობას ჩვენის ჯარისა და იმის უფროსებისას, რომელთაც ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს. 4 მაისს ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს სიმაღლეები ქალაქ ცინჩოუს ჩრდილოეთით. მტრის განკერძოებული ჯგუფები ჩნდებოდნენ მთებში. 5 მაისს იაპონელთა 3 როტამ იერიში მიიტანა სამსონის მთის დასავლეთ ფერდობზე 100 კაცისაგან შემდგარ ჩვენ რაზმზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. ცნობები გვაქვს, რომ სანშილიპუს ჩრდილოეთით იყო იაპონელთა მთელი არმია, 30 ათას ქვეითა ჯარის კაცისა და 1500 ცხენოსანისაგან შემდგარი საალყო ზარბაზნებით. ჩვენი ჯარის სულიერი განწყობილება ჩინებულია. ჩვენი ზარალი 1-დან 8 მაისამდის: 10 აფიცერი და 185 სალდათი დატყვევებულ იაპონელთ უნახეს რუსულ-იაპონური ლექსიკონები. ცხადია, კარგა ხანია, რაც ეს რაზმები პორტ-არტურის წინააღმდეგ გამოუგზავნიათ. ლექსიკონებში ყველა სიტყვა შეეხება პორტ-არტურს და დალნის».

**ჩიფუ.** («რეიტ. სააგ.»). როგორც დალნიში მყოფი იაპონიის კორესპონდენტი სწერს, მართლდება ჩინელების მოხსენება იმის შესახებ, რომ იაპონელები თან-დათან წინ მიდიან. კორესპონდენტი სწერს, რომ იაპონიის ჯარი პორტ-არტურიდან 15 მილის მანძილზეაო. ჯარი პორტ-არტურისკენ ნახევარ კუნძულის ნაპირით მიდის. აღმოსავლეთ მხარეს მყოფი დივიზია რუსებს შეებრძოლა 22 მაისს, პორტ-არტურიდან 15 მილის მანძილზე. ბრძოლის შედეგი ჯერ არ არის ცნობილი.

ოფიციალურ მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ პორტ-არტურიდან ისმოდა აფეთქების ხმაო. ჩინელთა ნავზე, რომელიც პორტ.არტურის მახლობლად იდგა, აფეთქების ხმა არ გაუგონიათ; ამის ნაცვლად ისმოდა თურმე თოფის სროლის ხმა. 22 მაისს დილით ნავიდან დაუნახავთ იაპონიის ხუთი კონტრ-ნაღმიანი გემი. როდესაც ეს გემები წავიდნენ, მოისმა ძლიერი აფეთქება. შესაძლებელია, ერთი ამ გემთაგანი ნაღმს წააწყდა. 21 მაისს, ღამე, დალნისაკენ მოსჩანდა ცეცხლის სვეტები და ხშირი კვამლი. რუსეთისა და იაპონიის ჯარი მხოლოდ ორის მილით იყვნენ ერთი-ერთმანეთზე დაშორებულნი.

20 მაისს იაპონიის ჯარმა, გაძლიერებულმა დალნიში გადასხმულ ჯარით, დაიჭირა დალნის სამხრეთ დასავლეთით ცინციატუნი და სანშიმპრ; შემდეგ აღმოსავლეთის ნაპირით პორტ-არტურისაკენ გაემართა. ამ ჯარის ცალ-მხარეს გაშლილია ზღვა, საიდანაც იაპონელებს დახმარებას უწევენ საკანონერო გებები. 20 მაისს იაპონელები პორტ-არტურს მიუახლოვდნენ; ისინი იყვნენ შვიდი მილის (მილი ვერს-ნახევარია) მანძილზე პორტ-არტურის გარეთა სიმაგრეებიდან და ორ მილის მანძილზე—რუსეთის ჯარისაგან. ეს ჯარი მზად არის შეებრძოლოს იაპონელებს. ჩინელების აზრით, უთუოდ აქ მოხდება დიდი ბრძოლა. შესაძლებელია, ეს ბრძოლა უკვე დაიწყო. იაპონელებმა თავიანთი ბაზა დალნისა და ტალიენვანში გადაიტანეს. დიდი გემები გარეთა რეიდზე დგანან, უფრო პატარა გემები კი—ნავთსადგურის შიგნით. იაპონიის ის ჯარი, რომელიც დალნის გადადის ნაპირზე, მოჰყავთ პატარა გემებით უთუოდ ბიძივოსა ან ელიოტის კუნძულებიდან.

ჩინელები ამბობენ, რამდენიმე ჩინელი დახვრიტეს იმ დროს, როდესაც იმათ სცადეს რუსის ჯარის გარღვევა და გავარდნაო.—რუსეთის ელჩს ამბავი მოუვიდა, რომ ტალიენვანის მახლობლად ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა იაპონიის დიდი გემიო.

**ნიუ-იორკი.** («რეიტ. სააგ.»). პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ შეერთებულ შტატების რესპუბლიკას სალაპარაკოდ აქვს საკითხი—შესაძლებელია თუ არა იაპონიას დაეთმოს სხვა-და-სხვა პირობით ფილიპეს კუნძულებიო. ვაშინგტონიდან მოსულ ოფიციალურ დეპეშისა და გარეშე საქმეთა სამინისტროს განცხადების თანახმად, ეს ხმა სიმართლეს მოკლებულია.

**ტიანძინი.** («რეიტ. სააგ.»). რუსის ჯარი წავიდა სინმინტინსა და იმის მიდამოებიდან და შეუერთდა მუკდენისკენ მიმავალს ჯარს.—დილით ინკოუში ლიაოიანის მხრიდან ისმოდა სროლის ძლიერი ხმა.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგ.»). გამოცხადებულია ბრძანებანი იაპონიის ჯარისა და ფლოტის მაღალ აფიცერთა დაჯილდოვების შესახებ.

**პეტერბურგი.** „რუსკი ინვალიდ"-ში დაბეჭდილია ვრცელი დებულება რუსეთ-იაპონიის ომში დატყვევებულთა შესახებ.

**ლიაოიანი** («რეიტ. სააგ.») რუსების უმთავრეს სამხედრო შტაბთან მყოფი უცხოელი აგენტები დაბინავეს სახლებში, რომლებიც სრულიად დაუთმეს. გენერალი კუროპატკინი სცდილობს ყოველნაირად ხელი შეუწყოს იმათ, თავისთან სადილათ იწვევს ხოლმე. დიდი მთავარი ბორის ვლადიმერის ძე, რომელმაც თავის გულ-ახდილობითა და გულ-კეთილობით საერთო თანაგრძნობა დაიმსახურა, ხშირად ნახულობს უცხოეთის წარმომადგენელთ. ბევრ სამხედრო აგენტს, სხვათა შორის ინგლისელ მაიორს იუმს, სამხრეთში წასვლის ნებართვა მიეცა. ზოგიერთი სამხედრო აგენტები ნებართვას უცდიან, რათა შეუერთდენ ყაზახთა რაზმებს, რომელნიც იაპონელთა მოწინავე რაზმების ახლოს არიან. ლიაოიანის გარშემო ბევრი ახალი გზა გაიყვანეს და გააკეთეს ქალაქის კედელში ახალი კარები ჯარების მოძრაობის გასაადვილებლად. მცხოვრებლებმა ბევრი შეიძინეს, რადგან რუსები დიდ-ძალ ფულს ჰხარჯავენ მუშების საქირაოდ, სურსათის შესაძენად, ურმების დ ჯარისათვის სადგომების დასაქირავებლად. ჯარების ჯანმრთელობა ჩინებულია; ისინი გამარჯვების იმედით არიან სავსე. ცხადია რომ ჯარები მალე წავლენ წინ. კიდევ ერთი იაპონელთა არმია გადმოდის ნაპირზე ლიაოდუნის აღმოსავლეთ ნაპირზე, რათა გზა მოუჭრას რუსებს, რომლებიც დაშიცაოდან წამოვლენ ოკუს არმიის არიერგარდის წინააღმდეგ. ნიშნებია იმისი, რომ იაპონელებს აღარ სურთ ლიაოიანის წინააღმდეგ გაჰგზავნონ ჯარები. თუ მართლა ჰქონდათ წინად ამნაირი განზრახვა. ორ-სამ კვირის შემდეგ დადგება ხანგრძლივ წვიმების დრო და წინსვლა შეუძლებელი გახდება. ყაზახები იაპონელთა მოწინავე რაზმების ახლოს არიან, არმიის მეორე ნაწილი კი უდარაჯებს კუროკის მარჯვენა ფრთას. რუსების ჯარი ძლიერ ჯანმრთელადაა, გადამდები სენი სრულებით არ გაჩენილა, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა შინაგან, ავადმყოფობისა. აქ ხმა დადის, რომ რუსის ჯარი გამოვიდი პორტ-არტურიდან მტრის წინაამღეგ და გამარჯვებული დაბრუნდა ციხეშიო.

**ლონდონი.** («რეიტ. სააგ.»). მანჯურიაში მყოფ რუსეთის არმიის ერთმა სამხედრო აგენტმა დეპეშა გაგზავნა პეტერბურგში იმის შესახებ, რომ გენერალი კუროპატკინი თავის შტაბით წავიდა რკინის გზით ლიაოიანის სამხრეთად 60 ვერსის მანძილზე, ხაიჩენსა და დაშიცაოს შუა ადგილამდის.

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება უმავთულო ტელეგრაფით, ვეიჰაიეის გზით, რომ იაპონელებს ამოაქვთ ნაღმები ტალიენვანის ბუხტიდან, მაგრამ მუშაობა ნელა მიდის და ძალიან საშიშარიცაა. იაპონელები შემდეგ აზრს დაადგნენ: ნავთსადგურის შესავალი თავისუფალიც რომ იქმნას, რუსების დიდი გემები მაინც ვერ შესძლებენ ზღვაში გასვლას, რადგან პორტ-არტურში ქვა-ნახშირი საკმაოდ არა აქვთო.—იაპონიის არმიის ერთი ნაწილი თვალ-ყურს ადევნებს პორტ-არტურს ხმელეთიდან, სანამ იაპონელები ტალიენვანის ბუხტაში ახალ ჯარების გადმოსხმას შესძლებენ.

**კურსკი.** თათბირმა გლეხთა რეფორმის შესახებ დაამთავრა განხილვა აღნიშნულ საკითხებისა და სასურველად სცნო საადგილ-მამულო თემების შექმნა; აგრეთვე ის, რომ დარჩენილ იქმნას ვოლოსტის სასამართლო უფლებათა შეზღუდვა. ამას გარდა სასურველად სცნეს, გაუადვილდეს გლეხობას სათემო მფლობელობიდან გამოსვლა. საკითხების დაწვრილებით შესამუშავებლად არჩეულ იქმნა ექვსი მცირე კომისია.

**სტამბოლი.** მაკედონიის ჟანდარმერიაში დანიშნული რუსის აფიცერები 21 მაისს წავიდნენ სალონიკის სანჯაყში. ამაზე ადრე რუსის გენერალმა შოსტაკმა მოახდინა თავისს რაიონის რევიზია.

**რომი.** პარიზში მყოფ რუსეთის საელჩოს მოთათბირე ნარიშკინი დაინიშნა მინისტრ-რეზიდენტად რომის პაპთან.

**ბარცელონა.** იმ დროს, როდესაც გუბერნატორი უნდა შეერთებოდა მთავარ ქუჩაში მიმავალ საეკლესიო პროცესიას, აფეთქდა ყუმბარა, რომელსაც დამსწრეთათვის არავითარი ვნება არ მიუყენებია.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დელეგაციამ სავსებით მიიღო სამხედრო სამინისტროს აღრიცხვა. კამათის დროს ფელდმარშალლეიტენანტმა ისკილფალუსსამ განაცხადა სამხედრო მინისტრის სახელით, რომ ფულის გადადებას ვთხოულობთ უმთავრე-

სად არტილერიის რეორგანიზაციისთვისაო. ორატორმა დაუმატა, ამ ჟამად არ შემიძლიან კერძო კითხვებზე პასუხი მოგცეთ, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ სხვა აზრი არ უნდა მიეცეს სამხედრო მინისტრის მოთხოვნილებას და გარეშე საქმეთა მინისტრის განმარტებას საგარეო პოლიტიკის მდგომარეობის შესახებ, საჭიროა ისე ძლიერნი ვიყოთ, რომ არა მარტო დავიცვათ სახელმწიფო, თუ ომი მოხდა, არამედ სახელმწიფოს გარედაც შევძლოთ პირველი ბრძოლა და დავიცვათ საქმის სასურველი ვითარება ომის განმავლობაშიო.

**პეტერბურგი**. 22 მაისს უმაღლესის თანადასწრებით მოხდა პარადი მის უდიდებულესობის დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობის ლეიბ-გვარდიის გრენადერთა და ულანთა პოლკებისა.

25 მაისი

**ლონდონი**. როდესაც სომხეთში მომხდარ ამბოხების შესახებ შეეკითხნენ, პერსიმ განაცხადა, ოსმალეთის მთავრობამ მიიღო წინადადება, რომლის თანახმად რუსეთის, საფრანგეთის დ ინგლისის კონსულებმა უნდა აღმოუჩინონ შემწეობა, ვითა შუამავლებმა. მაისიდანვე ინგლისის დ საფრანგეთის კონსულები მუშში არიან, ელიან რუსეთის კონსულს, რომელმაც ტფილისში შეიგვიანა. ძალიან საძნელოა მოლაპარაკება იქონიონ მეამბოხე ბრბოებთან, მაგრამ ევროპიელთა წარმომადგენელთა ყოფნას, უეჭველია, უკვე ექნებოდა სასარგებლო ზედმოქმედება. კონსულებს ნაბრძანევი აქვთ, დარჩნენ მუშს იქნამდე, ვინემ სარევოლუციო მოძრაობა შეწყდებოდეს და ახალი სამხედრო საშუალებანი საჭირო აღარ იქნეს.

**პერმი**. ბრძოლის ველზე წავიდა აქაურ წითელ ჯვრისაგან მომზადებული რაზმი სათნოების დათა.

**კოროსტიშევი**. 25 მაისს სრულიად დაიწვა სოფელი კოროსტიშევი, კიევის გუბერნიაში, გლეხების სახლები ბევრია დამწვარი. ქონება გადაიწვა მეიდნებზე. მცხოვრებლებთაგანაც დამწვარან. ენით გამოუთქმელს გაჭირვებაშია ხალხი. ვსთხოვთ კეთილს ხალხს შემწეობას. შეწირულებანი კომიტეტს უნდა გაეგზავნოს.

**ირკუტსკი**. 24 მაისს გზათა მინისტრი დაბრუნდა სოფელ ლისტვენიჩნოში. ივნისის პირველ რიცხვებში წავა პეტერბურგს.

**მოსკოვი**. ყველა ტაძრებში გადიხადეს პარაკლისი ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სადღეგრძელოდ. ქალაქი ბაირაღებით არის შემკული.

**ბრემენი**. გემი «ხოხხეიმერი», რომელიც ეკუთნოდა გერმანიის გემთა საზოგადოებას «განზა»-ს, იაპონიაში გაჰყიდეს.

**ჰიბრალტარი**. ინგლისის ჯავშნიანი გემი მიდის ტანჟერს. როგორც ამბობენ, საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ესკადრაც იქ მიდის.

**სოფია**. როგორც მაკედონიიდან ხმა მოდის, ოსმალები კვლავ მკაცრად ეპყრობიან ქრისტიანებს ოხრიდში. შიმშილი ჩამოვარდა. ამბები, რომელიც მოდის იმ ადგილიდან, სადაც მოქმედებს უცხოეთის ჟანდარმერია, ძალიან საიმედოა. თვით აქაური მაკედონელნი ამბობენ, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდაო.

**ვაშინგტონი** ადმირალი ჩედვიკი იუწყება, ინგლისის ელჩი მაროკოში სთხოვს ლონდონს მთავრობას, გამოგზანოს ინგლისის სამხედრო გემი ტანჟერს, სადაც სულთანს ელიან.

**ბლაგოვეშჩენსკი**. სობოროში გადაიხადეს ოლქის უფროსის და სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა თანადასწრებით პარაკლისი. ბანაკში პარადი იყო.

**ვენა**. ერცჰერცოგი ფრიდრიხი ამალით ლონდონს წავიდა.

26 მაისი.

**პეტერბურგი**. დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრესს შტაბში 24 მაისს: ფინხუანჩენისაკენ ცვლილება არ არის. იაპონიის რაზმმა, რომელიც სადგურ ვაფანგუნიდგან სამხრეთად იდგა, სოფელ იუდხიატუნთან, 22 მაიმს დასცალა პოზიცია და წავიდა, იმას გამოეკიდა ჩვენი ცხენოსანი ჯარი და მისდია სადგურ ვაფანდიანამდე და ქვეითაც სამხრეთისაკენ. 21 მაისს დაზვერვის დროს ჩვენ ზურგის რაზმს იაპონელებმა სროლა დაუწყეს საიმძის მიდამოებში, მაგრამ ჩვენმა ჯარის მოძრაობამ შეაყენა მტრის ზედმოსევა. სროლამ საათნახევრამდე გასტანა. ჩვენი ზარალი: ორია მოკლული და ექვსი დაბალი ჯარის-კაცია დაჭრილი.

**ტოკიო**. ადმირალი ტოკო იუწყება: თუმცა ზღვა ბობოქრობდა, მაგრამ მაინც ტალიენვანის ნავ-სადგურიდან 21 მაისიდან 24-დე ვიპოვნეთ და ავაფეთქეთ 41 ნაღმი. დაგუშანთან გადმოსული იაპონიის ჯარის ნაწილი 23 მაისს თავს დაესხა ყაზახთა რაზმსა იანტუნთან, ცინჩჟოუს გზაზე, ათს კილომეტრზე ჩრდილო-დასავლეთად დაგუშანიდან.

**ჩიფუ** («რეიტ. სააგ.»). როგორც ეტყობა, 24 მაისს ღამე იაპონელებმა სცადეს იერიშის მიტანა ხმელეთიდან პორტ-არტურზეო, ნავიდან, რომელიც დალნიდან გამოსულა და სამ მილზე მდგარა, სამხრეთ მხარეს პორტ-არტურიდან, სროლა გაუგონია, ეს ყოფილა დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ამის შემდეგ ნავი დაშორებულა და სროლა ვეღარ შესმენია. როგორც ეტყობა, ერთსა და იმავე დროს ზღვიდან და ხმელეთიდან უნდათ მიიტანონ იერიში პორტ-არტურზე. რუსებმა ეს რომ გაიგეს, გამოგზავნეს ესკადრა, რომ შეებრძოლოს იაპონიის გემებსაო და დაუმალოს, შემწეობა არ აღმოუჩინოს ხმელეთის ჯარსო. აქა ფიქრობენ, 24 მაისს საღამოთი ზღვაზე ბრძოლა იყო, პეჩილიის ყურეში. მოსული გემები ამბობენ, ძლიერი სროლა ისმოდაო. ასეთი ამბები სხვაგნიდანაც მოდის. მცხოვრებლებს ჩიფუს გარემო მდებარე ქედებიდან გაუგონიათ სროლის ხმა და დაუნახავთ ზღვაში ალი, აფეთქებისაგან წარმომდგარი. ტალიენვანში შეუმოწმებელი ხმაა, რომ ჯავშნიანი გემი «იაშიმა» დაეჯახა ნაღმს და ჩაიძირაო.

**მუკდენი**, 25 მაისი (საკ. კორესპ.). ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადების დღის გამო პარაკლისის შემდეგ ჯარის პარადი იყო. პარადს დაესწრნენ დანიის და შეერთებულ შტატების სამხედრო აგენტები.

26 მაისი.

**კალკუტა**. მალე წავა აქედან ინგლისის მისია ქაბულს, რადგანაც ავღანისტანის ემირის საქციელი საეჭვო შეიქმნა. ამბობენ, რომ ემირმა უარი სთქვა, აღარ მივიღებ ამას შემდეგ ინდოეთის მთავრობისაგან დანიშნულს ყოველ-წლიურს სუბსიდიასაო. ესა და სხვა საყურადღებო საქმე იქნება საგნად მოლაპარაკებისა ემირთანაო.

**სიმლა**. (რეიტ. სააგ.). თიბეთელებმა იერიში მიიტანეს იმ ბინებზე, რომელიც კანგჟაზეა. ინგლისელებს ერთი კაცი მოუკლეს და 6 დაუჭრეს. თიბეთელთ 164 კაცი დაეხოცათ.

**სიმლა** (იგივე სააგ.) ინგლისის ექსპედიციის ლხასზე ზედ-მისევისთვის დანიშნულია 13 ივნისი.

**სტამბოლი**. ხონთქარს განზრახვა აქვს მიართვას ავსტრიის იმპერატორს რამდენისამე წლის წინად დაარსებული ორდენი ოსმალეთის სამეფო სახლისა. ეგ ორდენი ოსმალთა ბატონიშვილებს გარდა აქვთ მხოლოდ გერმანიის იმპერატორსა და ინგლისის მეფეს. ივნისის მიწურულებში ცალკე მისია წავა ვენას და გადასცემს იმპერატორს ამ ორდენს.

**ჰამბურგი**. ორის გემით გაგზავნეს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკას გერმანიის სამფლობელოში ჯარები და ცხენები. სულ წავიდა 50 აფიცერი და 830 ჯარის კაცი.

**ბელგრადი**. გამოცხადდა, რომ 1 (14) ივნისიდან გაუქმდა პასპორტების წეს-რიგი ბოლგარიასთან მისვლა-მოსვლის შესახებ. დედოფალმა ნატალიამ და დრაგას დებმა განკარგულება მოახდინეს, რომ 29 მაისს გარდახდილ იქმნას წმ. მარკოზის ეკლესიაში პანაშვიდი მოკლულ მეფის ალექსანდრესა და დრაგასი. დედოფალ ნატალიას თხოვნა, გადახდილ იქმნას 29 მაისს საკათედრო ეკლესიაში პანაშვიდი მთავარ მიხეილ ობრენოვიჩისა, მთავრობამ არ შეიწყნარა.—29 მაისს უმაღლეს სკოლაში სტუდენტები აპირებენ სადღესასწაულო კრებასა. საღამოთი ბოლგარიის აფიცერთა საკრებულოში რაუტი იქნება.

**პარიჟი**. პალატამ მიიღო მეორე მუხლი კანონისა ორწლიურ სამხედრო სამსახურისა, რომლის ძალით თვითოეულმა ფრანგმა უნდა შეასრულოს სამხედრო ბეგარა შემდეგ 437 ხმის უმეტესობით 133 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქმნა მეორე მუხლი კანონისა, რომლითაც უქმდება შეღავათი სამხედრო ბეგარისა.

---

დროებითი რედაქტორი მრ. ყიფშიძე.
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

---

## გამოსადეგნი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა
21 მაისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94.00 |
| ბერლინში 100 მარკამი | — |
| პარიჟში 100 ფრანკზე | — |
| ლონდონში ჩეკები | 94.05 |
| ბერლინში | 46,30 |
| პარიჟში | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 87½ მ3. |
| 4% გირავნ. ფურც. სათავ. სადგ. მამულო ბანკისა | 295 წ3. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მოგ. ბილ. 1864 წ. | 258¾ წ3. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. | 90⅞ წ3. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. | — |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 87⅞ წ3. ბ.ყ. |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 88½ ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 87¼ წ3. გაყ. |

---




როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

В. М. МИРИМАНЦАНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—24)





## ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკმა

7 მაისს 1904 წელს მოახდინა ორმოც-და მეთვრამეტე ტირაჟი ამა ბანკის გირავნობის ფურცლებისა.

ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების განაღდება დაიწყება 1 ივლისიდგან 1904 წელსა:

ტფილისში—ბანკის კასაში; პეტერბურგში პეტერბურგის სახელმწიფო ბანკში და ყველა მის განყოფილებასა და კანტორებში, პეტერბურგის საზოგადო გამსესხებელ ბანკებსა, ლიონის კრედიტსა და ყველა იმის განყოფილებაში; პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკსა, პეტერბურგის საერთა-შორისო საკომერციო ბანკსა და ყველა იმის განყოფილებაში, ი. ვ. იუნკერისა და ამხ. საბანკირო სახლში და ყველა იმის განყოფილებაში, ბ-ნს ვაველბერგთან; ოდესაში—ბ-ნ ო. ხაისთან; მოსკოვში—მოსკოვის სავაჭრო ბანკსა, მოსკოვის საერთა-შორისო სავაჭრო ბანკსა და ყველა იმის განყოფილებაში, მ. ჯამგაროვების სავაჭრო სახლში; ვარშავაში—არშავის საკომერციო ბანკსა, დონის როსტოვში—აზოვ-დონის საკომერციო ბანკსა და ყველა იმის განყოფილებაში; რიგაში—რიგის საკომერციო ბანკსა და იმის განყოფილებაში; რეველში—ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში.

ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებს თან უნდა ახლდეს ყველა კუპონი, რომელთაც ვადა 1904 წლის 1 ივლისის შემდეგ გასდის. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკლებულ კუპონების ფული დაჭერილი იქმნება გასატან თანხიდან.

ნომრები 5% გირავნობის ფურცლებისა, რომელნიც მე-58 ტირაჟში გამოვიდნენ.

100 მანეთიან ლირებულებისა.

| ვადით. 29 წ. 9 თვ. | ვადით. 36 წ. 4 თვ. | ვადით. 61 წ. 8 თვ. | უვადოთ. | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 38 | 226 | 1003 | 128 | 2324 | 3500 | 5473 |
| 59 | 227 | | 155 | 2448 | 3524 | 5813 |
| | 255 | | 167 | 2628 | 3648 | 5922 |
| | 284 | | 212 | 2857 | 3670 | 6284 |
| | 319 | | 236 | 2877 | 3069 | 6585 |
| | 448 | | 237 | 2883 | 4597 | 6996 |
| | 468 | | 285 | 2931 | 4612 | 6997 |
| | 500 | | 405 | 3049 | 4825 | 6998 |
| | 510 | | 484 | 3140 | 4903 | 7154 |
| | 1858 | | 1273 | 3153 | 5101 | |
| | 1995 | | 1419 | 3333 | 5124 | |
| | 2061 | | 1716 | 3420 | 5367 | |
| | | | 1969 | 3422 | 5392 | |
| | | | 2175 | 3462 | 5402 | |

500 მანეთიან ლირებულებისა.

| ვადით. 36 წლ. 4 თვ. | უვადოთ. | | |
|---|---|---|---|
| 386 | 165 | 1593 | 3398 |
| 395 | 722 | 1742 | 3522 |
| 712 | 827 | 2039 | 4110 |
| 716 | 1080 | 2100 | 4519 |
| | 1310 | 2175 | 4534 |
| | 1462 | 2613 | 4827 |
| | 1592 | 3073 | |

1000 მანეთიან ლირებულებისა.

| ვადით. 36 წ. 4 თვ. | უვადოთ. | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 211 | 28 | 2501 | 4702 | 10192 | 15264 |
| 276 | 286 | 2634 | 4703 | 10474 | 15301 |
| 816 | 287 | 2749 | 4705 | 10665 | 16317 |
| | 513 | 2906 | 4706 | 10965 | 17213 |
| | 576 | 2907 | 4785 | 10966 | 17216 |
| | 674 | 3047 | 4884 | 11131 | 17248 |
| | 841 | 3079 | 5184 | 11132 | 17267 |
| | 899 | 3163 | 5402 | 11800 | |
| | 1066 | 3205 | 5426 | 12155 | |
| | 1105 | 3494 | 5582 | 12180 | |
| | 1106 | 3502 | 5809 | 12295 | |
| | 1260 | 3556 | 5890 | 12972 | |
| | 1520 | 3698 | 5961 | 13037 | |
| | 1667 | 3850 | 7549 | 13110 | |
| | 1777 | 4251 | 7604 | 15021 | |
| | 1836 | 4288 | 7974 | 15077 | |
| | 1881 | 4381 | 8300 | 15088 | |
| | 1959 | 4382 | 8877 | 15201 | |
| | 2056 | 4449 | 9964 | 15224 | |
| | 2080 | 4479 | 10003 | 15246 | |

Дозволено цензурою Тифлисъ 26 мая 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе, Русск. базаръ, домъ арм. семинаріи